ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 83
25/12/2018

83-48-4-201812251654

ინფორმაცია, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტისა და ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №48 90 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნელი ქარელის ინფორმაცია, 2018 წლის მანძილზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების შესრულების შესახებ, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გრიგოლი ჩიხლაძეს.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 25 დეკემბრის №48 83 განკარგულებით.

ინფორმაცია, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან განსახორციელებელი მუნიციპალური სოციალური პროგრამის შესრულების შესახებ

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N43 დადგენილებით დამტკიცებული „ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული სოციალური პროგრამების ასიგნებების შესრულება მიმდინარე წლის 11 დეკემბრისათვის არის შემდეგი:

N	ქვეპროგრამის დასახელება და კოდი	გეგმა ლარი	ფაქტი ლარი	შესრულება %	შენიშვნა
1	ინდივიდუალური დახმარება 06 02 01	183.100	177.773	97.1	
2	ახალშობილთა დახმარება 06 02 02	22.250	21.000	94.4	
3	სარიტუალო ხარჯები 06 02 03	3.000	1.250	41.7	
4	უმწეოთა კვება 06 02 04	78.000	60.678	85	ხელშეკრულება გაფორმებულია 71 295 ლარი
5	ხანძრით ბუნებრივი კატასტროფით და სხვა მიზეზით დაზარალებულთა დახმარება 06 02 05	66.000	58.315	88.3	
6	სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულპირთა ოჯახების დახმარება 06 02 06	9.650	9.600	99.5	

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო